

თეატრი

საქართველოს
საბჭოთაო
საზოგადოებრივი
საბჭოთაო
საბჭოთაო

№ 39

საყოველ-კვირთა სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი.

№ 39

28 სექტემბერი

გაგონივრება ყოველ კვირას

1886 წელს.

ფასი გაზეთი „თეატრი“-სა
ერთას წლით..... 5 მან. X სსკეპარ წლით ... 3 მან.
სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.

ხელის მოწერა მიიღება:
თბილისში რედაქც. კონსტანტინე პოპოვის ქუჩაზე.
ფოთში ბ-ნი ბესარიონ კალანდარიძის.

ცალკე ნუმერი გაზეთი „თეატრი“-სა ღირს 15 კაპ.

ისუიდება: თბილისში: ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, შვედროვის სააგენტო კონსტანტინე პოპოვის
როზის მაღაზიაში, ხიდის ყურთან. ქუთაისში: ჭილაძეთ წიგნის მაღაზიაში და ბათუმში პარიკმახერ არსენასთან.

გამოგზავნილი სტატიები, კორექტივები, ლექსები და
სხვა წერილი წერილები, თუ რედაქციამ საჭიროდ დაინახა
შესწორდებიან.

გამოგზავნილი ხელთ-ნაწერები რედაქციაში ინახება მხოლოდ
ერთს თვეს. სტატიების უკან გაგზავნას რედაქცია არ კის-
რულობს.

რედაქცია უპირიტილად სთხოვს ბ-ნი წერილების ავტორთ
სტატიები გარჩევით იყენებ დაწერილი.

ყოველ წერილში აუცილებლად მოხსენიებული უნდა იყოს ავტო-
რის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი.

გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію газ. „ТЕАТРЪ“ Галерея быв. Артируни № 110.

ქართული თეატრი

ღღღ, 28 სექტემბერს
წარმოდგენილი იქნება;

I
ს ა ნ ყ მ ა

კომედია-ქარსი 3 მოქმედ. და 4 სურათ.
თბ. ა. ცაგარელისა

II
მესამე მოქმედება


თავარ გატონიოვილი

III
დასაწყისი სწორეთ 7 1/2 საათზე.

მოთამაშენი: ქაღ. საფაროვი—აბაშიძისა, ვახუშაძე, ჯე-
რანიძისა, ჩერქეზიშვილისა, მელიქიშვილისა; ბატ. ყიფი-
ანი, აბაშიძე, ალექსევი—მესხიევი და სხვანი.

ქართული თეატრი

წარსულს ოთხშაბათს, 24 სექტემბერს ქართ.
ღღღ. საზოგადოების დასისაგან წარმოდგენილი იყო
ჯიაკომეტის ხუთ-მოქმედებიანი დრამა „დამნაშავეს
ოჯახი.“ ეს პიესა უკვე ცნობილია ჩვენის საზოგა-
დოებისაგან და ჩვენ ახალს ვერაფერს ვიტყვი. «და-
მნაშავეს ოჯახი» როგორც დრამა ვერაფერი შეი-
ლია და ჩვენ მხოლოდ ის გვაკვირვებს, როგორა
სძლებს ეს პიესა ამდენი ხანი ევროპულ რეპერტუ-
არში. მაგრამ თუ მოვიგონებთ, რომ უმთავრესი
როლი ამ პიესისა, კონსტანტინე, სავსეა ფიზიოლოგიუ-
რის ანალიზებით და მაშასადამე აქტორს შეუძლიან
თავის ნიჭის და ცოდნის ფართოდ გაშლა, მაშინ
ჩვენ აღვიღალ მიეხდებით, რად სთამაშობენ ამ პიესას
ყველა გამოჩენილი არტისტები და თვით გენიოსი
ტომასო სალინიცი. და მართლა დიდი ცოდნა, ხე-
ლოვნება და ნიჭია საჭირო, რომ აქტორმა სწორედ



და უტყუარად გამოხატოს კორრადოს სულის მდგომარეობა, მისი სასო-წარკვეთილება, ეჭვი, სიბრალუელი, შიში, სიყვარული და სხვა მრავალი გრძნობანი, რომელნიც დაულაგებლად უტრიალებენ კორრადოს გულში და გაცხელებულ შანთისავეით სდაღამენ მის უამისოდაც დაწმულ არსებას.

ჩვენი დასის პატრიარქი კოტე ყიფიანი თამაშობდა კორრადოს როლს და საუცხოვოდაც სთამაშობდა, განსაკუთრებით კარგი იყო სცენა ღონ-ფერნანდოსთან, როცა კორრადო ტყობილობს, რომ მისი ცოლი იმ სახლშივეა, სადაც ეხლა თვითონ არის... აქ აქტორმა ყოველისფერი დაგვაფიქვა, მთლად დაიპყრო ჩვენი გული და გონება... კარგი აყო აგრეთვე სცენა როზალიასთან და ემასთან, მეტადრე ის ადგილები, როცა კორრადო ნელის ხმით ცდილობს შეიღოს გავაეღვროს, მაგრამ არ შეუძლიან, არ შეუძლიან იმიტომ, რომ თოთხმეტი წლის განმავლობაში მხოლოდ ბრაზები აღრჩობდნენ და წყევლა-გოდების მეტს ვერას ამბობდნენ მისი ტუჩები... საუცხოვო იყო სცენა არიგო პალმიერთან და მონსინიორთან, მეტადრე ის ადგილები სადაც კორრადოს ღირსებას ეხებოდნენ. აქ ნათლად ვხედავდით კორრადოს ამაყ ხასიათს, მის ტემპერამენტის თვისებას, მის თავ-მოყვარებას... უფრო უფერული იყო სცენა ემასთან, სადაც მამა ეკითხება შეიღოს მის თავგადასავალზე. აქ კორრადო უფრო პოლიციელს, გამოძიებელ-მოსამართლეს ჰყვანდა ვიდრე მოსიყვარულე-მამას, რომელიც გრძნობს რომ მისი ადა მის წინა სდგას, მაგრამ მაინც ვერ ჰხედავს ამის გამოაშკარებას, თითქოს ეშინიან მეტის სინარულისაო, მეტის ბედნიერებისაო. სუსტი იყო ზოგიერთი ადგილი ცოლთან, რადგან გრძნობათა თან-და-თანობა აკლდა....

საუცხოვოდ შესრულა თავისი როლი ვ. მესხივემა. მაყურებელი მაშინათვე შეატყობდა, რომ არტისტს თავისი როლი შესწავლული და შეგნებული ჰქონდა. მ. საფაროვი-აბაშიძისა ჩვეულებრივის სითამამეთ და ხელოვნებით თამაშობდა. ვ. მელიქოვისას როლი რომ კარგად სცოდნოდა, უკეთ ითამაშებდა. ვ. აბაშიძე თავის როლში არ იყო და ამიტომ მონსენიორი მკრთალად გამოუვიდა... თუმცა საზოგადოთ მთელი როლი კვრავთ გაატარა. საზოგადოთ წარმოდგენამ კარგად ჩაიარა, მაგრამ საუბედუროდ ხალხი ძრიელ ცოტა იყო. იმედია, რომ დღეს ხანუმაზე ხალხი ბლომად დავსწრება, თორემ თუ ასე გაგრძელდა ხალხის თან აგრძნობა, როგორც აქამომდე იყო, დრამატიულ კომიტეტს საქმე გაუძნელდება...

წარმოდგენის ბოლოს კ. ყიფიანი ჩინაღმებდა და ტაშით გააცილეს.

გალიკო—ბ

ქართული თეატრი ქუთაისში

როგორც ვთქვამთ ამ წელს ქუთაისელებსაც ეღირსება სამუდამო ქართული დრამატიული დასი; მართალია, ამ დასის გამგე არც კომიტეტია და არც ვინმე „ფულიანი“ ანტრეპრენიორი, მაგრამ კარგს და სასარგებლო საქმისადმი სიყვარულით გამსჭვალულ ამხანაგობას პრა ნაკლებ შეუძლიან საქმის წაყვანა მინამ ანტრეპრენიორს. ქუთაისის ქართული დრამატიული დასი შესდგება 17 პირისაგან, მათ შორის დასახელებულია ექვსი ქალი-არტისტი და თერთმეტი ვაჟი-არტისტი. ეს რიცხვი სრული კომპლექტია ყოველი დასისათვის და უნდა ვიმედოვნოთ, რომ კარგათა წავე იქაური თეატრის საქმე, მით უფრო რომ დასის გამგეთ არის კონსტანტინე სვიმონის-ძე მესხი, ყოველისფრით დახელოვნებული არტისტი და როგორც გამგე უკვე გამოცდილი, კ. მესხი ერთ დროს თბილისშიაც იყო დასის გამგეთ ვ. აბაშიძესთან ერთად და ჩინებულად მიჰყავდათ თეატრის საქმე. მრავალ დასახელებულ პიესებთა შორის არის აგრეთვე კლასიკური პიესებიც, როგორც მაგალითად კამოსდ კანი, ალექსანდრე დიუმას დრამა. დამსწავის ოჯახი, ჯიაკომეტის დრამა, მსკარადი, დრამა მ. ლერმონტოვისა და სხვანი.

ჩვენ სრული იმედი გვაქს, რომ კ. მესხი რიგაწათ წაიყვანს საქმეს, თუ მოთამაშენი ჭირვეულობის და სხვა მაგვარ პიროვნულ «ამბიციების» მაგიერ ხელოვნებას და საქმეს დაუმეგობრდებიან. სცენაზე აუცილებელ საჭიროებას შეადგენს რიგიანი თავოსნობა, ხელ-მოჭერილობა, ხოლო ეს, ასეთი გამგებლობა, არ უნდა იყოს წრეს გადასული. — ღმერთმა ჰქნას და ქუთაისის დასმა წელი გაიმართოს. ჩვენ დრო გამოშვებით გავაცნობო მკითხველებს ქუთაისის თეატრის ავ-კარგიანობას.

ფელეტონი:

თეატრის კვირა

ჩემს მოცილეს.

ხელს ჩანგზე მიმოაჯერებ და ტკბილად აღწერს სიმები, ხან წარბებს შეჭკრავ მანდურად, ხან ტკბილად გაიდიმები.



საქართველოს
წიგლიერეთის
კავშირის
საბჭო

ფარისეულად ცრემლსა ღვრი
და მითა ცდილობ, მაცდურა,
რომ უფრადლებს სატრფოსი
შენ უფრა დაიმსახურა.

გიცქერ და ვიფიქრობ: ძნელია,
თუ გამაცდურდა გონება,
მასგან შესცდება მრავალი
და მას ბრძედ დაემონება!

მე შენი გული ბუდეა
მუდმივ მტრობის და შურისა
და სუსტი, ყოვლად უძლეური
გულ-წრფელად სამსახურისა.

და სული შენი მდებარე
ფარისეულობით სავსეა:
სიტყვა, აქ შენგან ნათესა,
შავ-საქმით დაგინჯისა.

ვერ შეძლებს შენი გრძობები
კეთილის თანაგრძობისა
და ვერ გაუწიეს კერავის
სიყვარულსა და მშობისა.

უკეთურია ყოველთვის
შენ შავ-საქმეთა მრავლობა
და გაწერია შუბლს მცნებად:
„მტრობა და გაუტანლობა!“

არ ენდო, სატრფო, არ ენდო,
შენ ამის მაცდურ ცრემლებსა,
ამ ცრემლით მხოლოდ ეს კეებს
თავის თავგანის მცემლებსა.

მაცრამ მე შენდე ცრემლ-გამშრალს.
მე სხვებისათვის არ ვსწირავ,
რა დღესაც მომთხოვ, იმ დღესვე
ამ ჩემს თავს შენთვის ვაწირავ!

ცახელი.

გამოცანა.

სულიერია ორ გვარი,
მანია არა დიდა,
მას სძულს დღისა ნათელი

უკვანს მხოლოდ-და ბინდია
წვალზედ გავდა და გამოვა
არ დასჭირდება სიდა
გამოიცანით რა არის,
ჭერში თავდაღმა ჭკიდა.

ი. დ.

(ალსნა-ლამურა)

პრიტიკა და გიგლიოგრაფია.

წერილი რედაქციის მიმართ,

არაოდუ სიტყვა „იუკრაინა“.

საზოგადოთ ყოველს რიგიანს ყურნალს ან გა-
ზეთს, თუ კი ის მართლა საზოგადოებრივი ორგანია,
ე. ი. თუ ბეჯითად აკვირდება საზოგადო ინტერე-
სებს, მოთხოვნილებებს და შეძლებისამებრ მათის
დაკმაყოფილების სახსარს იძლევა, — უთუოდ თავისე-
ბური ფერი, ხასიათი უნდა ჰქონდეს, სახიერი ბეჭე-
დი აჯდეს, ერთის სიტყვით ჭკონდეს ის, რაიც შეად-
გენს ყოველ ორგანოს ძალას და სიცოცხლეს, მი-
სი გავლენის, ან ულონობის წინდსა, მისს სულს, —
მე ვამბობ გამოარკვეულ მიმართულებას და გამოარკვე-
ული მიმართულება კი გაზეთს მაშინ აქვს, როცა
მას კარგად შეუგნია საზოგადოების უმთავრესი მო-
თხოვნილებანი, საზოგადო აზრის უმთავრესი მიმდი-
ნარეობა, ხასიათი და თავის წმინდა საგნად გაუხ-
დია ამ მოთხოვნილებათა წინ წამოყენება, ამ აზრის
წინ-გაძლოლა, სამსახური. რასაკვირველია, საზოგა-
დობაში. როგორც რთულს, მრავალს წვერთაგან
შემდგარს ერთეულში ათასი სხვა-და-სხვა აზრი, იდე-
ალი, მოთხოვნილება ტრიალებს, და გაზეთის თუ
ყურნალის მიმართულების ხასიათი, ავ-კარგიანობა დამო-
კიდებულია მაზედ, თუ რა აზრის წარმომადგენელია ის,
რა იდეალს ემსახურება, რაგვარ მოთხოვნილებათა მოსა-
რჩლეა... ყოველს შემთხვევაში გაზეთს უნდა ედვას
განსხვავებული ფერი, ადგეს ერთს რომელსამე გზას
უამისოდ ყოველი სალიტერატურო ორგანო ძალას
მოკლებულია, ცოცხალ-მკვდარი და მისს სიკვდილს
არაეინ არ იგლოვებს და იტირებს... აბა, რად უნდა
იგლოვონ და იტირონ, თქვენი ჭირიმეთ, თუკი მკით-
ხველის საჭიროებას და მოთხოვნილებას, მის მხიარულე-
ბას და მწუხარებას ყურს არ ათხოვებს და გვერდს უვლის,
თითქოს აქ არაფერიაო?.. დეე ბარემ მოისპოს
ამ გვარი უმნიშვნელო, ულონო, უფერული

ეროვნული
დემოკრატიული

გაზეთი“ ამბობს მკითხველი, და მართალიც არის.

სწორედ ეს უფერულობა, გამოურკვეველობა ნათლად ატყვია, ჩვენდა სამწუხაროდ, გაზეთს „ივერია-საც.“ მართლაც რა მიმართულება აქვს ამ გაზეთს? რომელ საზოგადოებრივ იდეალებს ემსახურება იგი? რა გზას ადგია? რა სახე აქვს მას?—აი საკითხავები, რომლებზედაც გადაჭრილის პასუხის მიცემა ერთობ ძნელი საქმეა...—როგორ? — იკითხავს ზოგიერთი გულ-წორეული მკითხველი, —ნუ თუ „ივერიას“ რომელიც გამოდის ერთობ ჭკვიანის და ნიჭიერის, საფუძვლიანად განათლებულის და მასთან ნამდვილის ჩვენის ქვეყნის შვილის რედაქტორობით, გამოურკვეველობა, უფერულობა უნდა შეესწამოთ?—დიად, უნდა შეესწამოთ, მართალი უნდა აღვიაროთ.. *Amicus Plato sed magis amica veritas!* (*)

სამწუხარო და სავალალოც იგია, რომ ის კაცი, რომლისაგანაც ქართველთ საზოგადოება ბევრს მოვლის, ცოტას გვაძლევს... ჩემის აზრის დასამტკიცებლად, ავიღოთ ერთ-ერთი ძველი ნომერი „ივერიისა“, რომელიც კი ხელში მოგვხვდება და გადავთვალიეროთ მისი შინაარსი. აი მოწინავე წერილი, რომლის ავტორიც დარბაისლურად, დალაგებით გვესაუბრება ირლანდიის თავ-გადასაუაღზე, გლადსტონის კანონ-პროექტზედ, მისს მომავალ ბედზე და სხვა და სხვა. ამ წერილის შემდეგ ხაზს ქვევით ხედავთ ფელეტონს „უცხოთა შორის“, რომლის შინაარსიც ეხება უცხო ქვეყნების ცხოვრებელთა ამოკრეფილ წერილმან ფაქტებს, მაგალითებრ, იმას, თუ როგორ იღვსასწაულეს ესპანელებმა თავიანთი ტახტის მემკვიდრის დაბადება, რა ცერემონია და ვაი-ვაგლახი იყო იმისი ძიძის ამორჩევაზე და სხვა; მეორე გვერდზე „ასაღა ამაჰის“ სათაურით მოქცეულია მოკლე მოკლე ცნობები, რომელნიც უფრო თბილისის ცხოვრებას ეხებიან, ვიდრე ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხეებისას. აქვე აუცილებლად შეხედებით „დამაკვირდი“-ს, —შესანიშნავი მწერლების აზრებს; შემდეგ ამას მოჰყვება ესრედ წოდებული „ნარკვევი“, —ქურნალ-გაზეთებელთა ამოკრეფილი ცნობები, უმეტესს ნაწილად პოლიტიკურის ხასიათისა, —და ბოლოს ადგილი უჭირავს ტელეგრამებს იმავე პოლიტიკურის შინაარსისა. ჩვენ ეს ერთი მაგალითი მოვიყვანეთ; ახლა აიღეთ სხვა ნომრებიც, — რომელიც იქნება სულ ერთია, — გადასინჯეთ და ნათლად დაინახავთ, რომ ყველას ერთი და იგივე ფერ-მკრთალი სახე აქვს, ყველა დაახლოვებით ერთის და იმა-

ვე შინაარსისა. ისევ იგივე პოლიტიკა, პოლიტიკა და პოლიტიკა! ისევ „უცხოთა შორის“, და „უცხოთა შორის“, „ისევ ბანკი“, ბანკი, კიდევ ბანკი და მისი ბუხალტერია და ოპერაციები! ვინ ამბობს, რომ ყველა ეს საგნები, რომლებზედაც ასე ხშირად და დარბაისლურად გვემასლაათება გაზეთი „ივერია“, ყურადღების ღირსნი არ იყვნენ! ვინ ამბობს, რომ შესახებ ამ საგნებისა დაბეჭდილ სტატიებს ზედ არ ეტყობოდეს ავტორის ჭკუა და საგნის ცოდნა! მაგრამ... ჩვენ, ჩვენ ქართველმა საზოგადოებამ რაღა დაეშავეთ, რომ ერთხელაც არ გვეღიროსა „ივერიის“ მოწყალეებითი ყურადღება. ნუ თუ ისე დამლოვრდა და პოქი მოგვიდა ჩვენი ცხოვრების დენას, რომ ყოველი კაცობრიული მოთხოვნილება, სურვილი, აზრი დაგვხმობია, და „ივერიას“ მასალაც ვერ უშოვია, რომ ჩვენთვის ენა დასძრას?! ის კიდევ საკმაოდ ბევრს მნიშვნელობით სავსე კითხვებს იძლევა და „ივერია“, გვონებ, როგორც ქართულ გაზეთს, ვალად უნდა აძვედეს მათ ყურადღება მიაქციოს, პასუხი გასცეს... მაგრამ არა! რა დარბაისელი გაზეთის საქმეა, თქვენი ჭირიმეთ, მდაბიო ინტერესებზე ლაპარაკი?.. ეს რომ სხვა წერილ-წერილ, უჯიშო გაზეთებსაც შეუძლია!... ის არა სჯობია მაღალ საგნებზე ბასით, მაგალითად პოლიტიკაზე, საზოგადოების გონებითი პორიზონტი გაფართოვდეს, მკითხველი პოლიტიკაში გაიწვრთნას და გაეაზღიშდეს! რა საკადრისია დარბაისელი გაზეთისთვის ხალხის ეკონომიურს გონებრივს და ზნეობრივს მოთხოვნილებათ ყური ათხოვოს? სად პოლიტიკა და სად ეს საგნები! მაშ გაუმარჯოს პოლიტიკას და პოლიტიკოსებს! გაუმარჯოს! —თქვენი ნებაა; მაგრამ ჩვენ ამით არც გვცივა და არც გვცხელა!...

რას უნდა მივაწეროთ ეს „ივერიის“ მიერ ჩვენის ცხოვრების ათვალწუნება, მისი გულგრილობა ჩვენის ცხოვრების ინტერესებისადმი? — არ ვიცი. ბევრი ვიფიქრე ამაზე, ჩემო მკითხველო, და ვერავითარს დასკვნამდე ვერ მივედი. იქნება გაზეთი იმ პრინციპს ადგეს, რომ „ზოგან თქმა სჯობს არა-თქმასა, ზოგან თქმითაც დაშავდებისო“, —ამაზედ ჩვენ მხოლოდ შეგვიძლიან ვუპასუხოთ: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი!“ —

ვათავებ აქ ამ მოკლე შენიშვნას იმ იმედით, რომ ეს მოკლედ თქმულიც საკმაო იქნება მისთვის, ვისაც გონება უჭრის. *Sabient est!*

დომ. გრემელი

*) მეგობარი მეგობრად და ჭეშმარიტება — ჭეშმარიტებად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეატრის კვირა

ქალო, შენს სიყვარულს შემამითვალე რა უყო?
სურგს ავიკიდო გუდითა? რომ ვერა გზიდო რა უყო?

სურვილით გასულებული ადგე წავიდე წყალზედა,
წითელ წითელი კალმისი შეწვა ტუცხლისა აღზედა.

ქალმა აიღო ქვა დამკრა, რა გულისა გახუდვინა;
შიგნიდგან გული მამიკლა, კარს ტუცხლი მოადებინა.

ნეტავი წყალზედ მამინა, ამ გულზედ ქვიშა მადინა
ლამისი ქალის მკლავზედა შეიდი დღე, დამე მამინა.
შეკრებილი ჯინა ანასტასია ამირა—საგან.

ქართლი იმისთვის დაგადე, თოვლს დაზღებს, აღარ აიღებს
რაც რომ მოსავალი მოვა, მას სულ ბატონი წაიღებს.

ამილასკრანთ შიშითა ფქვილი ვერ დაგდგი გოდრითა,
ვერც მოვწველე ღვეპული, ვერც კალო ვლაქე მოხვრითა.

ზემო ქართლის კაცს გამგზავს; ჩონს ბოლო განიერსა,
რაც გინდა ბეჭი გაჭამო, ვერ გაგზავნი მადრიელსა
შეკრებილი რ. მირზანელისაგან.

ტანი გიგავს ალვის ხესა, სამოთხიდან გამოსულსა,
გბილი ხშირსა მარგალიტსა, სასურველად დაწყობილსა.
შენ ხომას ხარ უცხო თემსა, ვერა გნახავ ქმ მოსულსა;
თუ შენ გულით არ მიყვარდე, დმერთი ამომარტმეკს სულს.
შეკრებილი გიგო. დიასამიძისაგან

კინტოური ლექსი

კინტო ვარ, ღოთი, ყარბი,
აბა ვის რათ ვეუარბი,
თახანა მადგა და ისე
ღოთურად დავიარბი.

მძის მხა-ბიჭობას გაუწევ,
კაი ვაცს ვეხატავლები,
სამა რამ მიყვარს ამ ქვეყნად:
ღვინო, დუღუკი, ქალები.

ჩემი სიცოცხლე სულ ღვინში,
ქეიფში მიტარებია;
დუშმანის გული მომიკლავს,
მოყვრისა მისარბია.

კინტ მსედავს, «კინტო»-ს მეძანის,
ღოთია, შავარბია,

თახანს დათრეკს, ვინ არის,
ნეტავი ვინა ჰგდაია?

დეე დამცინონ, გამანძღონ,
დე ღოთი-ფაში დამარქვან,
რაც საიჭიოს წაიღონ,—
ფექქაშ!—უკლა მე წამართვან.

როცა ფულს ვიკებ, ოფლს ვღვრი,
«ვიღლო» რომელმა მანუქა!
ჩემს ქეიფს რაღას დასდევან,
რა ჰმუტო: ღვინო, თუ ჯიხვისა რქა?!
ონ-ანი

1886 წ. 21 სექტემბერი

საუურადლებო საგანი.

ჩვენში უწინდელ დროიდან დარჩენილია ერთი მშვენიერი ჩვეულება წერა-კითხვის გავრცელების თაობაზე. მშობლები, რომელთაც არ შეუძლიათ ანუ არ სურთ რამე მიზნისა გამო შეიღების სკოლაში მიცემა, აბარებენ იმათ ახლოს მცოდნე პირსა, უფრო მღვდელსა, ანუ დიაკვნსა, ანუ, არა იშვიათად აგრეთვე წერა-კითხვის მცოდნე ქალებსა და დედებსა. უკანასკნელ დროში აგრეთვე, როდესაც დედ მამას უნდა შეიღოსა ვაჭრობის ხელობა ასწავლოს, აბარებს რა ვაჭარსა თავის შეიღოსა, პირობასაც ართმევს წერა-კითხვაც ასწავლოს, ანგარების მოყვარე ვაჭარი ბევრს არ აცლის ყმაწვილს სასწავლად და ხშირად ჩვენსა სამუშაოზედ ვხვდებით, რომ აღის ანუ მისი „პრიკაშიკის“ ბრძანება არ აცლის ყმაწვილსა ნახევრად დაწყობილის ასოს დაბოლოვებას, ანუ ნახევრად წაკითხულის სიტყვის ჩაკითხვას. მაინც სამხიარული მოვლენაა, ერთს წუთს მოკლილი ყმაწვილ წიგნსა და კალამს, რომ ეწაფოდეს, რაც უნდა იყოს თითქმის სულ ყველა ვაჭრებს—სხვების გარდა სამეგრელო აფხაზეთში ამნაირათ აქვთ შესწავლილი წერა-კითხვა და ზოგნი ისე მშვენიერადაც სწერენ, რომ მათი კალიგრაფი ბევრს კლასიანსაც შეეხარბოს... ამ ბუნებით მიმდინარეობას საქმისას ყველა ჩვენი ქვეყნის მოკეთე უნდა გზას უფართოვებდეს და ენმარებოდეს.

მაგრამ მცოდნე მასწავლებელთა უხელმძღვანელოთ წერა-კითხვის შესწავლისათვის გამოსადეგი საყმაწვილო წიგნები, ვგონებ, ჩვენ არა გვქონოვს.

საუკეთესო ჩვენი ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი დედა-ქანს სკოლებში სახმარებლად არის შედგენილი და ამ სპეციალური მიზნის მიმდევარი წიგნი იმ მოთხოვნილებას, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, სრულად ვერ დააკმაყოფილებს. ესევე ითქმის სახლობაში სახმარებელ გოგებაშვილისავე ქართულ ანბანზე და სხვა ანბანებზედაც. მივისწრაფი განემარტო.

ეროვნული
საბჭო

კერძო სწავლებაში, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, ჯერ ხელთ ნაწერის კითხვას და წერას ასწავლიან და შემდეგ სტამბურზე გადადიან. ხელთ ნაწერის კითხვის სწავლება რალა თქმა უნდა—ძველ სხოლასტიკურ მეთოდზე მიდის. პატარა ყმაწვილს ქალღმერთზე უწერენ ანბანს რიგზე და ასწავლიან ანუ, ბანუ... და ანბანს მანამ აზეპირებენ, სანამ მოსწავლეს თვალი მეხანიკურათ არ შეეჩევა მათ (ასოთა) გამოხატულებათა გამოცნობას. შემდეგ, ამსახებულზე გადადიან, ნახევარ თაბახ ქალღმერთზე უწერენ: „პატივის მცემელი შამისა იხარებდეს ძეთა მიერ“ — ანუ :... „სალომე უჯარმოსანმან ძმის წულმან მირიან მეფისამან“... ანუ მამაო ჩვენოსა და ანუ რამე წინადადებებს პირველ შეხვედრილი წიგნიდამ. ბან ან=ბა; ღონ ენ=ღე; ბან ან ღონ ენ=ბაღე... ამნაირადვე სწავლობენ წერასაც.

მივიღებთ, რა მხედველობაში ნათქვამსა, დავინახავთ, რომ ჩვენი საყმაწვილო წიგნები სასურველად ვერ შეუწყობენ ხელს კერძო წერა კითხვის სწავლებას. ჯერ ერთი რომ ყველა სხასნება პედაგოგიურ მოთხოვნილებათა დაგვარად სტამბურის კითხვის შესასწავლებლად არიან შედგენილი, ხოლო შკოლაში ერთსა და იმავე ღროს ამასთანავე ხელთ ნაწერის კითხვა და წერა მასწავლებელმა და წერის დედანმა უნდა შეაესოს. მაშასადამე კერძო შინაურ სწავლაში, რაკი ყმაწვილი ზემო აწერილის წესით სწავლობს ხელთ ნაწერის კითხვას და შემდეგ წერას, სტამბურის კითხვის შესწავლა იმ მეთოდით, როგორც მოყვანილია ჩვენს ანბანებში (პედაგოგის მოთხოვნილებათა დაკვირვებით არ შეუძლია ყმაწვილსა, რადგან აქაც იმავე მეთოდს მისდევენ, რომელსაც უწინ. პირ-და-პირ დაყოლებით გააცნობენ ანბანსა, შემდეგ სტატიებზე გადადიან. ან რა საჭიროა სხასნებას მოთხოვნილებათა დაკვა ამ შემთხვევაში, რაკი ყმაწვილს რის ვაი-ვაგლანით და ძველებურის მეთოდით გავლილი აქვს ხელთ ნაწერის კითხვა და წერაც.

აგრეთვე მასწავლებლის ხელმძღვანელობის ქვეშე სკოლაში სახმარებელი ქართული წერის დედანი ა. ჯუღელისა არ არის გამოსადეგი ჩვენის ხსენებულის საჭიროებისათვის.

ბეჭდვით, კითხვიდან რომ იწყონ სწავლება მანც ჩვენი ანბანები სრულიად მოუშზადებელ შინაურ მასწავლებელთათვის ვერ არიან ჯეროვანად გამოსადეგნი, რადგან ვერ სარგებლობენ, როგორც რიგია.

ერთმა შორეულის სოფლის ჩემმა ნაცნობთაგანმა მთხოვა რამე „ანბანი“ თავის პატარა ქალიშვილისათვის. მე, როგორც უფრო იაფ-საშოვნელი ჩემთვის, მივაწოდე ქართული ანბანი და პირველი საკვი წიგნი სახლობაში სახმარებელი ი. გოგებაშვილისა, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ, არ გამახსენდა მოკლედ ამეხსნა ხმარება ამ ანბანისა. რამდენიმე თვის შემდეგ შემთხვევა მქონდა მენახა პატარა ქალი, რომელიც სწავლობდა ჩემის წიგნით. დავინახე, რომ დედა

მის მისთვის ჯერ სრულიანბანი დაუწყებდნენ, რომელიც მოქცეულია წიგნის მეშვიდე და შერვე გვერდზე. შემდეგ მასწავლებელ დედას პირველი პატარა მოთხრობები, რომლებშიაც სჩანს საკმაოდ ადვილიდამ უფრო ძნელზე გადასელო და—სიტყვებიც შედარებით უფრო ადვილი გამოსათქმელებია ხმარებული, უყურადღებოდ გაუფლია, რაიცა ჩემთვის მეტად განსაკვირვებელი დარჩა,— და გადასულა-თითქოს განგებ უუძნელესის ამორჩევა ნდომობდეს—გვრიტი და მტრედზე (24 გვერ.)

ამ პატარა ამბავში ასეთი სიტყვებიც არის, რომელთა მზგავსნი ენათა შენობის მხრით ბევრ ენებზე სრულიად აღარ მოიძებნებია. სიტყვები იწყებიან სამის, ოთხის და ხუთის უხმო ასოთი, სათაურშივე: გვრიტი, მტრედი. ტექსტში: ფთხრიალი, გრცხვენთან. რასაკვირველია სანამ ყმაწვილი ჯერ იძახის: „ფარ ცალკე=ფ თან ცალკე=თ; ფარ და თან=ფთ; შემდეგ“ ხან ცალკე=ხ, რე ცალკე=რ; ხან და რე=ხრ პირველი ნახევარის გამოთქმა ე. ი. „ფარ ცალკე და თან ცალკე ავიწყდება, იმეორებს პირველ ნახევარს მეორე ნახევარი ავიწყდება.“

ავიწყდება-იმეორებს, იმეორებს-ავიწყდება. ერთის სიტყვით, წვალობს და ცრემლებსა ღერის, რასაკვირველია უმრავლესობა ეცემა მსხვერპლად ამ ბრძოლაში და ჰკარგავს ყოველ გვარ ხალისს სწავლისადმი და თუ ჩვენ ამ წერილის დასაწყისში ვთქვით, ბევრნი კარგად კითხულობენ და სწერენო, ეს ითქმება წერა კითხვის დამწყებთა უმცირესობის უმცირესობაზე.

იქნება ვინმემ იფიქროს მოყვანილი მაგალითი ხოლოობითი ფაქტია, რომ ეს შხოლოობითი არარის და რომ ანბანებითა შინაურ სწავლებაში ვერ სარგებლობენ, რიგინად ამაზე, თუ საჭიროებამ გამოიწვია—შემდეგ მოველაპარაკები მკითხველსა და ეხლა კი ნება მიბოძეთ დასკვნისა ზემო ნათქვამიდამ.

ჩემის ჰაზრით საჭიროა ისეთი ანბანის და პირველი საკითხავი წიგნის შედგენა, რომელიც თვით სწავლის და სწავლების საქმეს ხელს უწყობდეს. ესეთი საყმაწვილო წიგნი, შედგენილი თანამედროვე პედაგოგის მოთხოვნილებათა დაგვარად, უნდა შეიცავდეს ანბანსა ხელთ ნაწერსაც და სტამბურსაც და მაშასადამე წერა კითხვას უნდა ასწავლიდეს ერთსა და იმავე ღროს, როგორც უშინსკის Родное Слово. ესევე წიგნი პირველ საკითხავიც უნდა იყოს და თან-და-თან გარდა წვრილმან მოთხრობებისა, ლექსებისა, ინდაზებისა და სხ. უნდა შეიცავდეს ზოგიერთა ელემენტარულ ცნობებს სხვა-და-სხვა საგნებიდამ, ციფირების და რიცხვების წერას და-თუ შესაძლო იქნება—მოკლევ და მდაბიურ ახსნას მაგალითებით არითმეტიკის ოთხი მოქმედებისას და ლოცვებსა მხედრულის შრიფტით და სხე.—

ამ საყმაწვილო წიგნს წინ უნდა უძღოდეს—ჩემის ჰაზრით—მოკლევ, მარტივი, ადვილად გასაგების ენით დაწერილი წინასიტყვაობა ამ წიგნით სარგებ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლობაზე, ხმარებაზე იმ პირთათვის, რომელნიც სრულად არ არიან მომზადებულნი პედაგოგიურ საქმიანათვის.

რა თქმა უნდა, მე მხოლოდ აქ აღვნიშნავ საჭიროებას ასეთის წიგნისას და თუ ეს საჭიროება ერთხელ ცნობილი იქნება სწავლისაგანაც, მაშინ რაგაკარება წიგნისა დამოკიდებული იქნება მცოდნე პირებზედ.

3—

თეატრი და მუსიკა

«ტანჰეისერია» — რომანტიული ოპერა 3 მოქმედ. და 4 სურათად. მუსიკა და სიტყვები რ. ვაგნერისა.

ბატ. ფითუა შვილმა, დაპირებისამებრ, ახალი ოპერის დადგმაც დაიწყო თბილისის სცენაზე. რუსულ თეატრში პირლევად წარმოადგინეს გამოჩენილი და მთელს ევროპაში ცნობილი რიხარდ ვაგნერის ოპერა «ტანჰეისერია». რ. ვაგნერი სულ ორი წელიწადია რაც გარდაიცვალა. ეს მაღალ ნიჭიერი კომპოზიტორი თავის მოძმეებისაჲც მით განიჩხევა, რომ მან ახალი, რეალური, ან უკეთ რომ ესთქვათ, თანამედროვე საოპერო მუსიკა დაბადა. მან დიდი ალიაქოთი ასტენა და თითქმის განდგენა კიდევაც იტალიური ოპერის მუსიკა. ვაგნერის მუსიკა «ტანჰეისერიაში» მშვენიერი მელოდიურობითაა სავსე, ორკესტრსაც და თვით მელოდიების ასხმასაც თანამედროვე მოთხოვნილებანი ეტყობათ.

ოპერის შინაარსი ზღაპრულია, ხალხის ზეპირმოთხრობიდან აღებული. საქმე იმაშია, რომ ერთი გერმანიელი რაინდი და მასთანავე მომღერალი, სახელად ტანჰეისერი, შემთხვევით, ვენერას (ქალ-ღმერთი) ქვეშევსელ სადგურში ხედება. ეს სადგური ვარდუბურლის ახლოს არის, გელზერბერგის მთის სიღრმეში. ოპერა, ან დრამა იმ წუთიდან იწყობა, როცა გულდაჯერებული და ყველა მგრძობელი სურვილებით დამტკბარი ტანჰეისერი სააქაოზე დარდობს და ვენერას განთავისუფლებასა სთხოვს. ვენერა ჯერ სცდილობს როგორმე დააჯეროს და დასტოვოს იგი, მერე ემდურება და უსაყვედურებს, რომ ტანჰეისერმა მას უღალატა და ყველაფერი დაიფიწყა, მაგრამ ბოლოს ვენერა მაინც თანხმდება და ტანჰეისერს სრულს თავისუფლებას აძლევს. ტანჰეისერი ამ იღუმალ უფსკრულიდან გამოდის და ერთბაშათ ვარდუბურლის ახლო-მახლო ჩნდება, (იგი მთელი წელიწადი დაკარგული იყო). აქ მას მწყემსი შეხედება, რომელიც გაზაფხულს და მის ბუნებას უგალობს და აღიდებს; შეხედება აგრეთვე რომში მიმავალ მლოცავებს. აქვე ნადირობიდან დაბრუნებული მებატონე (ლანდგრაფი) თავის როინდ-მომღერლებით შახედება. ყველანი ეკითხებიან თუ სად იყო დაკარგული, ან

სად იმყოფებოდა მთელი წლის განმავლობაში. ტანჰეისერი მალავს თავის თავგადასავალს და ეუბნება, რომ იგი მოგზაურობდა, მაგრამ მოსვენება კი ვერსად ვერ ჰპოვა და სურს მოგზაურობა კიდევ განაგრძოს. ლანდრაფი და რაინდები სთხოვენ ელისაბედის გულისათვის მაინც დარჩეს თავის სამშობლოში. ელისაბედი ლანდგრაფის ძმისწულია, რომელსაც ტანჰეისერი უყვარს; ერთ დროს თვით ტანჰეისერსაც მოსწონდა ელისაბედი. ტანჰეისერს აგონდება მშვენიერი და უმანკო ელისაბედი და თანხმდება სამშობლოში დარჩეს. ყველანი ერთად ვარდუბურლში ბრუნდებიან. ამითი თავდება პირველი მოქმედება.

მეორე მოქმედება ვარდუბურლში, მომღერლების დარბაზში წარმოსდგება. ელისაბედი გახარებულია, რომ მისი საყვარელი მომღერალი დაბრუნდა და კიდევ გააცხოველებს მას თავისი ძლიერი სიმღერით. ტანჰეისერი თავის ამხანაგი ვოლფრამით მიდის ელიბედთან, სიყვარულს უცხადებს და არწმუნებს, რომ იგი მხოლოდ მის სიყვარულის გულისთვის დაბრუნდა სამშობლოში. გახარებული ელისაბედიც, თავის მხრივ, სიყვარულს უცხადებს ტანჰეისერს. ვოლფრამსაც უყვარს ელისაბედი, მაგრამ ამ სიყვარულს მალავს. ტანჰეისერი მიდის და სცენაზე ლანდგრაფი შემოდის, ელისაბედი ლანდგრაფს უცხადებს, რომ ტანჰეისერი უყვარს. „დაე აგრე იყოს, ჯეროვნად დაგვიხატოს სიმღერაში ნამდვილი სიყვარული და ჩვენც მომღერალს ღირსეულად დავაჯილდოებთ,“ — ამბობს ლანდგრაფი.

მოწვეულნი სტუმრები შემოდიან, მომღერლების შეჯიბრებაში დასასწრებლათ; ტანჰეისერიც მონაწილეობას იღებს. მომღერლებს სიმღერის საგნათ „სიყვარული“ ეძლევათ. ვინც უფრო სიყვარულს ღირსეულად უგალობებს, ელისაბედი მას დააჯილდოებს და ყველაფერს შეასრულებს, რასაც კი მომღერალი მოითხოვს. ამას ლანდგრაფი უცხადებს საერთოთ ყველა მომღერლებს.

პირველად სიმღერას ვოლფრამი იწყობს. თავის სიმღერაში იგი აღიდებს და ჰგალობს წმინდას, იდეალურს, პლანტონიურს სიყვარულს, წმინდა გრძობებით აღვსილს საყვარელ დედაკაცისადმი, რომლის გულისათვის მზათ არის დაღვაროს სისხლი და შესწიროს მთელი სიცოცხლე; აღიდებს მისთანა საყვარულს, რომელიც არ არის აღჭურვილი სულიერი ენებებით. ვოლფრამის სიმღერა ყველას მოსწონს და ყველანი აღტაცებაში მოჰყავს. ტანჰეისერი თავის სიმღერაში წინ აღუდგება ვოლფრამისაგან გამოხატულ სიყვარულს, არ ეთანხმება. ის აღვიარებს მხოლოდ

საქართველოს
საზოგადოებრივი
საბჭოთაო

ენებზეთ საესეს და გულდაჯერებულს სიყვარულს. ამ სიმღერის გამო მსმენელებში ჩოჩქოლი ასტყდება. ვალტერი დგება, პასუხს უგებს და ტანჭვიზერს აყვედრის, რომ რადგანაც ის გარყენილობით მოღლილია, ამიტომ არ შეუძლია ამ წმინდა და მაღალ გრძნობის გაგება და დაუასება. ტანჭვიზერი დაცინვით უპასუხებს ვოლტერს, რომ მისი სიყვარული სი-ცოცხლის მოკლებულია და არაფრათ ღირს. მსმენელები თან-და-თან უფრო ღელდებიან.

შემდეგ დგება გაჯაფრებული ბიტეროლოფი და მუქარით ეუბნება ტანჭვიზერს, რომ იგი დედაკაცის პატიოსნების დასაცველათ მზათ არის ხელი გამოი-ღოს. გაბრაზებული ტანჭვიზერი სიტყვებით შეურაცყოფობას აყენებს ბიტეროლოფს... ასტყდება საერთო ჩხუბი. ყველანი ტანჭვიზერზე მიიწევიან. დიდი ცდის შემდეგ დანდგრაფი მაჩხუბრებს ამშვიდებს.

დასასრულ ვოლფრამი კიდევ მღერის და აღი-ღებს ნამდვილს და წმინდა სიყვარულს, თითქმის მას-თან ერთათ ტანჭვიზერიც იწყებს აღტაცებით სიმღე-რას; აქებს და აღიღებს ვენერას, რომ მან აუხილა თვალები და დაანახვა სოფლის საოცრებანი, საცა სტკებოდა სიყვარულით, იმ სიყვარულით, რომლის გაგება ამ საცოდავ მომღერლებს არ ესმით. ამასთანავე გაშმაგებული ტანჭვიზერი საყოველთაოდ აცხა-ღებს, რომ ის ვენერასთან იმყოფებოდა. ეს ამბავი ყველას აოცებს და აღელვებაში მოჰყავს; ქალები საჩქაროთ გადიან და კაცები ხმაღ ამოღებულნი ტანჭვიზერისაკენ მიიწევიან. შუაში ელისაბედი ჩაუ-ვარდება, ტანჭვიზერს იხსნის სიკედილისაგან და სთხოვს ლანდგრაფს და რაინდებს შეცდომის გასასწორებ-ლათ და ბოდიშის მოსახდელათ დრო მისცენ. ჯერ არა თანხმდებიან, მაგრამ ბოლოს ელისაბედის თხო-ვნას პატივსა სდებენ და ტანჭვიზერს სალოცავათ და ცოდვების მოსანანიებლათ რომში გზავნიან.

ღეთის-მშობლის სამლოცველოსთან სდგას მუხლ-მოდრეკილი ელისაბედი და ლოკულობს—აპითი იწ-ყება მესამე მოქმედება. იქვე შორი-ახლოს ვოლფრა-მი სდგას და ელისაბედს თვალს ადევნებს. მოისმის რომიდან დაბრუნებულ მლოცავების გალობა: აღე-ღებებული ელისაბედი ყურს უგდებს გალობას, თი-თქოს ვილაკის ხმას ეძებსო, ტანჭვიზერს მოეღის. მლოცავები ელისაბედს წინ გაუვლიან; გაშტერებით ყველას ათვლიერებს, მაგრამ საყვარელ კაცს კი ვე-რა ჰპოულობს. მიუბრუნდება კიდევ დედა ღეთისას, იჩოქებს, გულმხურვალეთ ლოკულობს და მის სამ-სახურს საუკუნოთ თავს სწირავს. ვოლფრამი მიუახ-

ლოვდება ელისაბედს და თანახლებასა... საბედი ანიშნებს, რომ იგი ამ ქვეყანას აღარ ეკუთვ-ნის და თანახლებაში არ საქიროებს. ელისაბედი ნე-ლის ნაბიჯით ქალაქისაკენ მიდის. ლამდება. ცაზე ვარსკვლავები გამოჩნდება. თავ-ზარდაცემული ვოლ-ფრამი მშენიერის სიმღერით მიჰმართავს ვარსკვ-ლავს... ამ სიმღერის დროს ტანჭვიზერი გამოჩნდება. მეგობრები ერთმანეთს სცნობენ. ტანჭვიზერი უამბობს ამხანაგს თავის გასაჭირს მოგზაურობას რომში, რომ მისი შეცოდებანი წმინდა მამამ (რომის პაპამ) არ შე-იწყნარა და მის მეტი აღარა რჩება რა, რომ ისევ ვენერას დაუბრუნდეს. ვოლფრამი სცდილობს რო-გორმე ააცილოს ბოროტი ფიქრები. ამ დროს ვენე-რა გამოჩნდება და ტანჭვიზერს უძახის; ტანჭვიზერი მზათ არის ვენერას მივარდეს და წაჰყვებს მას. მაგრამ ვოლფრამი უმანკო და წმინდა ელისაბედის სახელით ტანჭვიზერს აჩერებს. შორით საზარელი ზარის რეკა და გალობა მოისმის,—მიცვალებულ ელისაბედის სულის მოსანანიებლათ ლოკულობენ. ელისაბედმა ლოკვით და მარხვით შეისყიდა ტანჭვიზერის შეცო-დებანი და თვითონ კი სული განუტყვევა... ელისაბე-დის კუბოს მოასვენებენ; თან ლანდგრაფი, რაინდები და მწლებელნი მოჰყვებიან. ყველა ამ გარემოებით თავზარდაცემული ტანჭვიზერი საყვარელ დედაკაცის კუბოსთან ვარდება და იქვე კვდება. აი ეს არის მთე-ლი შინაარსი ვაგნერის ოპერისა.

არტისტების თამაშობაზე და თვით ოპერის და-დგმაზე შემდეგ ნომერში იქნება. ახლა კი მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ბატ. ფითუაშვილი სწორეთ მა-ღლობის ღირსია: არც ფულებს და არც შრომას არა ზოგავს, რომ თბილისის საზოგადოება დააკმაყოფი-ლოს ახალი ოპერების დადგმით. მაგრამ, ღეთის წი-ნაშე, საზოგადოებაც ახირებული გეყავს სულ იმას გაიძახიან ძველი ოპერები მოგვწყინდო და ახალ ოპერებზე მანც არ დაიარებიან. ეს მეექვსეთ წარ-მოადგინეს „ტანჭვიზერი“ და ექვსჯერვე თეატრი თითქმის ცარიელი იყო.

სომხური დრამატული წარმოდგენები 15 ოქ-ტომბრიდან იწყება. მოწვეულ არტისტებიდან ჯერ მხოლოდ ბატ. ადამიანი იმყოფება თბილისში.

რედაქტორ-გამომცემლა ვ. აბაშიძე.

33-449-456110 იბ. წიგნ. F 23
5